ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3369520

ნომერი: AR1514308

თარიღი : 14.06.2017

გაცემის თარიღი : 03.07.2017

გაცნობის თარიღი : 03.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო დოლიძე პ/ნ 01006001477
- დიღმის მასივი, V კვ. კორპ. 1, ბ.34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განმეორებით განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დააფიქსირეთ საპროექტო სარეკონსტრუქციო ფართის საკადასტრო კოდები (შეტყობინების ველით გადმოგზავნილია სამი ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ვერ დგინდება სამივე ფართზე ხორციელდება რეკონსტრუქცია თუ ამ სამიდან ერთ-ერთზე)მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრში დაცული ანაზომი გეგმის ასლი და შემდგომ მის საფუძველზე დამუშავებული საპროექტო ესკიზური ნახაზები (გეგმები ჭრილები და ფასადები) გაითვალისწინეთ გეგმის ნახაზზე მიწერილი უნდა იქნას საპროექტო ფართების საკადასტრო კოდები და ფართის მესაკუთრეთა ვიბაობა ;
2. "ფაილის მიმაგრება" ველში ატვირთულ მასალასთან ერთად დამატებით აიტვირთოს მხოლოდ საპროექტო ფართის ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;

3. ფოტომონტაჟზე მითითებული #1 ადგილმდებარეობით კიბის მოწყობა და ვიტრაჟის ნაწილში კარის ღიობის მოწყობისათვის წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა), ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრების დამსწრე წევრების რიცხვითი და %–ული რაოდენობის მითითებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ " საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის თანახმად, კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3–ს (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი (წარმოდგენილია ამხანაგობის თავმჯდომარის ნოტარიული თანხმობა);

4.რაც შეეხება ფოტომონტაჟზე მითითებულ #2 ადგილმდებარეობით საჩრდილობლის მოწყობასა და არსებული კიბის რეკონსტრუქციას აღნიშნულისათვის წარმოდსადგენი გექნებათ სარეკონსტრუქციო ფართის ზედა ფართის მესაკუთრის თანხმობა საჩრდილობლის მოსაწყობად, საჯარო რეესტრის შესაბამისი თანდართვით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კიბის მოწყობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საჭიროების შემთხვევაში , დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge